

# გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ანალიზი

*შენგელია მამუკა - პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*მატარაძე ნინო - მაგისტრი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## The analysis of certain judgments delivered by the International Court of Justice

*Shengelia Mamuka - Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Mataradze Nino - Master, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** The article analyzes particular judgments of the International Court of Justice in relation to legal problems and challenges related to armed conflicts. The focus is on the question of jurisdiction, methods of assessment of damages, the standards of application of custom legal custom, the nature of Court's decisions, contentious issues and the effective approach of the Court to resolve such issues. The context of the decision itself is evaluated with a critical eye. The article discusses the general approach of the court to similar issues along with the modern practice and assesses the risks of using the general practice and deviating from it.

**Research methodology:** The article uses the comparative legal research method, the normative legal research method.

**Results and implications:** The article has educational and practical value.

**Conclusion:** The study of modern court practice shows that the Court of Justice tends to give priority to judicial restraint rather than the scope of judicial activism. In fact, the Court strictly adheres to the principle of self-limitation, stemming from the fear of losing legitimacy, especially when dealing with the issue of consent-based jurisdiction. Although judicial restraint is an important aspect of fair decision-making, we consider it inadmissible to exercise such restraint in the process of introducing innovations. However, the Court's restraint strengthens the international legal system and informs the international community of the limits of acceptable behavior.

**Keywords:** United Nations, International Court of Justice, International Humanitarian Law.

### აბსტრაქტი

**შესავალი და მიზანი:** სტატიაში გაანალიზებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ზოგიერთი პრეცედენტი შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებთან და გამოწვევებთან მიმართებით. ყურადღება გამახვილებულია იურისდიქციის საკითხზე, ზიანის შეფასებასა და შეფასების მეთოდებზე, ჩვეულებების გამოყენების სტანდარტებზე, სასამართლო გადაწყვეტილებების ბუნებაზე, საკამათო საკითხებზე და სასამართლოს მიერ ასეთი საკითხების მოგვარების ეფექტურ მიდგომაზე. თავად გადაწყვეტილებების კონტექსტი შეფასებულია კრიტიკული ხედვით. სტატიაში თანამედროვე პრაქტიკასთან ერთად განხილულია, სასამართლოსეული მიდგომა მსგავსი საკითხების მიმართ და შეფასებულია ზოგადი პრაქტიკის გამოყენებისა და მისგან გადახვევის რისკები.

**კვლევის მეთოდოლოგია:** სტატიაში გამოყენებულია შედარებითი-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, ნორმატიულ-დოქტრინალური კვლევის მეთოდი.

**შედეგები და გამოყენება:** სტატია ასევე სასწავლო-მეთოდური და პრაქტიკული მნიშვნელობა.

**დასკვნა:** სასამართლოს თანამედროვე პრაქტიკის განხილვით კვლევაში წარმოჩენილია, რომ მართლმსაჯულების სასამართლო მიდრეკილია პრიორიტეტი მიანიჭოს სასამართლოს თავშეკავებას, ვიდრე სასამართლოს აქტიურობის ფარგლებს. ფაქტობრივად, სასამართლო მკაცრად იცავს თვითშეზღუდვის პრინციპს, რაც გამომდინარეობს ლეგიტიმაციის დაკარგვის შიშიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განიხილავს თანხმობაზე დაფუძნებულ იურისდიქციის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს თავშეკავება არის სა-

მართლიანი გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი ასპექტი, დაუშვებლად მიგვაჩნია მსგავსი თავშეკავება სიახლეების დანერგვის პროცესში. თუმცა, სასამართლოს თავშეკავება აძლიერებს საერთაშორისო სამართლებრივ სისტემას და აწვდის საერთაშორისო თანამეგობრობას მისაღები ქცევის საზღვრებს.

**საკვანძო სიტყვები:** გაერო, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

## შესავალი

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (შემდგომ - სასამართლო) მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს სახელმწიფოებს შორის პრობლემების მოგვარებაში. მისი როლი განსაკუთრებულია შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგების ჭრილში. ლოგიკურია ისიც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, მეცნიერ-იურისტები ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სახელმწიფოთა ქცევის სახელმძღვანელოს.<sup>1</sup> შესაბამისად, სასამართლოს განხილული ყოველი პრეცედენტი საუკეთესო შესაძლებლობაა გავლენა მოახდინოს თავად სასამართლოს მიზნებზე, როგორცაა მშვიდობა, სამართლიანობა, ჰუმანიზმი და ძირითადი უფლებები.

სასამართლოს მრავალმნიშვნელოვანი ჩართვა სხვადასხვა შეიარაღებული კონფლიქტის მოწესრიგებაში, მისი, როგორც სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის მართვის საერთაშორისო სასამართლო ორგანოს როლის მაჩვენებელია. თანმიმდევრულად მიღებულ სხვადასხვა გადაწყვეტილებებში სასამართლომ გამოკვეთა თავისი იურისდიქცია, იმოქმედოს უშიშროების საბჭოს რეაგირების პარალელურად, რომ საბჭოს მიეწოდოს საკონსულტაციო აზრი უკვე წარდგენილ სიტუაციებზე.<sup>2</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებები, არ არის სამართლის წყარო, მაგრამ სასამართლოს განმარტებები ერთხმად განიხილება, როგორც მოქმედი საერთაშორისო სამართლის საუკეთესო ფორმულირება.<sup>3</sup> მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლომ თავისივე პრაქტიკის განმავლობაში ტერმინის „შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი“ ნაცვლად, უპირატესობა მიანიჭა ტერმინს „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“,<sup>4</sup> ხოლო ასეთ მოცემულობაში პიროვნების პატივის და ღირსების დაცვის მხრივ, ჰააგის და ჟენევის კონვენციები გამოიყენება ფართო იურისდიქციით.<sup>5</sup> ფუნდამენტური წესები დაცული უნდა იყოს სახელმწიფოების მიერ, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა რატიფიცირებული კონვენციები. აღნიშნული პრინციპი ხასიათდება, როგორც *jus cogens* და მისი შესრულება სავალდებულოა. მნიშვნელოვანია „საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინცი-

<sup>1</sup> Abraham Sofaer, *The International Court of Justice and Armed Conflict?*, 1 Nw. J. Int'l Hum. Rts. 1(2004). ხელმისაწვდომია: <http://scholarlycommons.law.northwestern.edu/njihr/vol1/iss1/4> (მოძიებულია: 13.04.2022).

<sup>2</sup> *The Practical Guide to Humanitarian Law*, International Court of Justice (ICJ) ხელმისაწვდომია: <https://guide-humanitarian-law.org/content/article/3/international-court-of-justice-icj/> (მოძიებულია: 13.04.2022).

<sup>3</sup> *The contribution of the International Court of Justice to international humanitarian law*“ RICR Juin IRRC June 2003 Vol. 85 No 850, გვ. 235. ხელმისაწვდომია: [https://www.icrc.org/en/doc/assets/files/other/irrc\\_850\\_chetail.pdf](https://www.icrc.org/en/doc/assets/files/other/irrc_850_chetail.pdf) (მოძიებულია:13.04.2022).

<sup>4</sup> Claus Kreß, *The International Court of Justice and the Law of Armed Conflicts*, OUP CORRECTED PROOF – FINAL, 23/8/2013, გვ. 265. ხელმისაწვდომია: [https://www.iipsl.jura.uni-koeln.de/fileadmin/sites/iipsl/Forschung/Anlagen/14\\_Maerz\\_2015/zu10.pdf](https://www.iipsl.jura.uni-koeln.de/fileadmin/sites/iipsl/Forschung/Anlagen/14_Maerz_2015/zu10.pdf) (მოძიებულია: 13.04.2022).

<sup>5</sup> იქვე.

პების“ სავალდებულო ბუნებაც,<sup>6</sup> რომელიც შეიარაღებული კონფლიქტებში მოქმედი ერთ-ერთი უძველესი მარეგულირებელი საერთაშორისო ინსტრუმენტია.

## 1. საქმე „კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდას რესპუბლიკის წინააღმდეგ“

1999 წლის 23 ივნისს, კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (შემდგომში - კონგო) სასამართლოს რეესტრში დავის დაწყების მოთხოვნით შეიტანა განაცხადი „შეიარაღებული აქტების შესახებ“ უგანდას რესპუბლიკის წინააღმდეგ (შემდგომში - უგანდა). აღიარებული ფაქტია, რომ უგანდას მიერ კონგოს ტერიტორიაზე განხორციელებული აგრესია გაეროს და აფრიკის კავშირის წესდების აშკარა დარღვევით მიმდინარეობდა.<sup>7</sup> 2000 წლის 19 ივლისს სასამართლომ კონგოს დაკმაყოფილებული მოთხოვნა დროებითი ზომების დაწესების შესახებ უგანდას მთავრობას გადასცა.<sup>8</sup>

მხარეთა მიერ წარდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ გადაწყვეტილება 2005 წლის 19 დეკემბერს გამოიტანა, რომელშიც 1998 წლის აგვისტოდან კონგოს ტერიტორიაზე უგანდას სამხედრო შენაერთების არალეგიტიმურად ყოფნა დაადასტურა. სასამართლომ უარყო უგანდას პრეტენზია შეიარაღებული ძალის ლეგიტიმურად გამოყენების საფუძველებზე თავდაცვის წინაპირობების არ არსებობის გამო. მართლაც, უგანდას მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია თავისი მასშტაბით და ხანგრძლივობით, სასამართლოს შეფასებით, გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით ძალის გამოყენების აკრძალვის მძიმე დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ გააჩნდა საკმარისი საწარმოო მტკიცებულებები UPDF (უგანდას სახალხო თავდაცვის ძალები) მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევების შესახებ.<sup>9</sup> მისანიშნებელია, რომ საქმის წარმოება აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დასრულებულა.

2015 წლის 13 მაისს, კონგომ განაცხადა, რომ უგანდასთან მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა და სასამართლოს სთხოვა დაედგინა უგანდას კუთვნილი რეპარაციის ოდენობა. სასამართლომ 2015 წლის 1 ივლისს განკარგულებაში მიუთითა მხარეების მიერ შეთანხმების მიუღწევლობაზე<sup>10</sup> და მხარეებმაც მხოლოდ შემდგომ შეიტანეს სასამართლოში წერილობითი საჩივრები რეპარაციის საკითხთან დაკავშირებით.

<sup>6</sup> The International Court of Justice, Handbook, The information contained in this handbook was last updated on 31 December 2018, გვ. 97, ISBN 978-92-1-157364-0, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/publications/handbook-of-the-court-en.pdf> (მოძიებულია: 01.04.2022).

<sup>7</sup> Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda). The Democratic Republic of Congo institutes proceedings against Burundi, Uganda and Rwanda on account of “acts of armed aggression”, Press Release, No. 99/34, 23 June 1999, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/116/3849.pdf> (მოძიებულია: 15.04.2022).

<sup>8</sup> The Democratic Republic of the Congo requests the Court to indicate provisional measures as a matter of urgency, Press Release, THE HAGUE, 19 June 2000. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/116/3853.pdf> (მოძიებულია: 15.04.2022).

<sup>9</sup> Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), Overview of the Case, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/en/case/116> (მოძიებულია: 15.04.2022).

<sup>10</sup> Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), The Court decides to resume the proceedings in the case with regard to the question of reparations and fixes the time-limit for the filing of written pleadings. Press Release. No. 2015/18, 9 July 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/116/18718.pdf> (მოძიებულია: 15.04.2022).

2022 წლის 9 თებერვალს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება რეპარაციის შესახებ საქმეზე „კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდას რესპუბლიკის წინააღმდეგ,“ კონგოს სასარგებლოდ 330 მილიონი აშშ დოლარის გადახდის შესახებ, როგორც მთლიანი კომპენსაცია უგანდას მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით მიყენებული ზიანისათვის.<sup>11</sup>

2022 წლის რეპარაციული გადაწყვეტილება დოქტრინულად მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის მასობრივი დარღვევებისთვის კომპენსაციის დასადგენად სასამართლომ თავისი მეთოდოლოგია შეიმუშავა.

უნდა აღნიშნოს, რომ სასამართლოს არ აქვს შესაბამისი სამეთვალყურეო განყოფილება, რომელიც გააკონტროლებს სახელმწიფოების მიერ რეპარაციული გადაწყვეტილებების შესრულებას.<sup>12</sup> მოცემული საქმე შეიძლება გარდამტეხი აღმოჩნდეს სასამართლოს არქიტექტურაში ხანგრძლივი ინსტიტუციური პრობლემების შედეგების გადასახედად.

სასამართლომ ჩამოაყალიბა რეპარაციის შეფასების სამ ნაწილიანი კრიტერიუმი:

(1) კონფლიქტის განსხვავებული სიტუაციები იტურსა და კონგოს სხვა რეგიონებში:

(2) მიზეზობრივი კავშირი უგანდას დანაშაულებრივ ქმედებებსა და კონგოსთვის მიყენებულ ზიანს შორის;

(3) რეპარაციის ბუნება, ფორმა და ოდენობა.<sup>13</sup>

სასამართლოს მიერ უგანდა აღიარებული იქნა, როგორც ოკუპანტი სახელმწიფო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, უგანდას საკმარისად ეფექტური კონტროლი ჰქონდა დამყარებული იტურის ტერიტორიაზე და აუცილებლობას წარმოადგენდა ანაზღაურებინა ყველა რეპარაცია, მათ შორის ისეთიც, რომელიც მესამე პირებისგან იყო გამოწვეული (უგანდამ უგულებელყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, აგრეთვე, ოკუპირებული ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების ძარცვისა და ექსპლუატაციის თავიდან ასაცილებელი ვალდებულებები, თუნდაც, მეამბოხე ჯგუფების, როგორც კონფლიქტის მესამე მხარის მიერ ნამოქმედარი), ასევე, ზიანი იტურის მიღმა (მიუხედავად იმისა, რომ უგანდა ვერ ახორციელებდა ტერიტორიის ეფექტურ კონტროლს, დადგინდა უგანდის მხარდაჭერა მეამბოხე ჯგუფებისადმი, როგორც ზიანის მიზეზი და უგანდასათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი).<sup>14</sup> უგანდას მიმართ საკმარისი პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი არსებობდა, რომ სასამართლოს დაეკისრებინა ყველა ზიანის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ზიანი არ იყო

<sup>11</sup> Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda) Reparations, Summary 2022/1, 9 February 2022, §21. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/116/116-20220209-SUM-01-00-EN.pdf> (მოძიებულია:15.04.2022).

<sup>12</sup> The International Court of Justice's 2022 Reparations Judgment in DRC v. Uganda: 'Global Sums' as the New Device for Human Rights-Based Inter-State Disputes, Diane Desierto, February 14, 2022, ხელმისაწვდომია: <https://www.ejiltalk.org/the-international-court-of-justices-2022-reparations-judgment-in-drc-v-uganda-a-new-methodology-for-human-rights-in-inter-state-disputes/> (მოძიებულია:15.04.2022).

<sup>13</sup> International Court of Justice, Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda) Reparations, Summary 2022/1, 9 February 2022, §72-102. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/116/116-20220209-SUM-01-00-EN.pdf> (მოძიებულია:15.04.2022).

<sup>14</sup> International Court of Justice, Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda) Reparations, Summary 2022/1, 9 February 2022, §80-84. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/116/116-20220209-SUM-01-00-EN.pdf> (მოძიებულია:15.04.2022).

გამოწვეული უგანდას მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.<sup>15</sup> სასამართლომ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები მიიღო უგანდას მიერ ოკუპირებული იტურის მიღმა განხორციელებულ ზიანზეც.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კონგოს მოთხოვნა, გამოძიების შემდეგ დაესაჯა დარღვევებზე პასუხისმგებელი ინდივიდები, აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან 2005 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, უგანდას თავის მხრივ, ისედაც ჰქონდა გამოძიებისა და რეაგირების ვალდებულება მსგავს დარღვევებზე.<sup>16</sup>

2022 წლის გადაწყვეტილება ერთგვარი სახელმძღვანელოა სრული ანაზღაურების სტანდარტის დანერგვის შესახებ, იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტები რთულად დასადგენია, განსაკუთრებით, როდესაც ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევას, ასევე, მტკიცებულებების შენარჩუნებას და სანდო ანგარიშების მთლიანობის უზრუნველყოფას ეხება.

2022 წლის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ სასამართლოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ზოგჯერ არ არის აბსოლუტური და მნიშვნელოვანია მათი გადახედვა. გადაწყვეტილებაში სასამართლოს განსაკუთრებული პოლიტიკაც დასტურდება, თავად შეაფასოს მტკიცებულებების დასაშვებობა სახელმწიფოთა შორის დავების, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის დროს, რომელსაც ახლავს განსაკუთრებული სისასტიკე.

## 2. საქმე „კოსტა რიკას რესპუბლიკა ნიკარაგუას რესპუბლიკის წინააღმდეგ“

2010 წლის 18 ნოემბერს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიმართა კოსტა რიკას რესპუბლიკამ მის ტერიტორიაზე ნიკარაგუას რესპუბლიკის სავარაუდო შეჭრასთან და ოკუპაციასთან დაკავშირებით. კოსტა რიკას მტკიცებით, ნიკარაგუამ ორ ცალკეულ ინციდენტში დაარღვია კოსტა რიკას ტერიტორიული მთლიანობა, პირველი ინციდენტი არხის მშენებლობა მდინარე სან ხუანიდან ლაგუნა ლოს პორტილოსამდე (ასევე ცნობილი როგორც "Harbour Head Lagoon"), ხოლო მეორე ინციდენტი მდინარე სან-ხუანზე გარკვეული სამუშაოების ჩატარება. კოსტა რიკას წარმომადგენლების თქმით, ამ არხის მშენებლობა სერიოზულად იმოქმედებდა წყლის ნაკადზე, კოსტა რიკას მდინარე კოლორადოსკენ და შემდგომ ზიანს მიაყენებდა კოსტა რიკას ტერიტორიაზე არსებულ ჭარბტენიან ველურ ბუნებას და მათ შორის დაცულ ტერიტორიებს. კოსტა რიკამ სასამართლოს მიმართა, ასევე, დროებითი ზომების გამოყენების შესახებ.<sup>17</sup> თავისი მოთხოვნით, კოსტა რიკა ცდილობდა სასამართლოს მიეღო სადავო ტერიტორიიდან ნიკარაგუას ჯარის გაყვანის, არხის მშენებლობის დაუყოვნებლივ შეწყვეტის და მდინარე კოლორადოზე სამუშაოების შეჩერების გადაწყვეტილება.

2011 წლის 22 დეკემბერს ნიკარაგუამ დაიწყო სამართალწარმოება კოსტა რიკას წინააღმდეგ „ნიკარაგუას სუვერენიტეტის დარღვევისა და მის ტერიტორიისათვის მიყენებული გარემოსდაცვი-

<sup>15</sup> იქვე, 95.

<sup>16</sup> იქვე, 390.

<sup>17</sup>Certain Activities carried out by Nicaragua in the Border Area (Costa Rica v. Nicaragua) application instituting proceedings, filed in the Registry of the Court on 18 November 2010, § 27-45. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/150/16279.pdf> (მოძიებულია: 16.04.2022.);



თი ზიანის გამო“.<sup>18</sup> განაცხადში ნიკარაგუა ამტკიცებდა, რომ კოსტა რიკა ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს ორ ქვეყანას შორის საზღვრის უმეტესი ნაწილის გასწვრივ გარემოსთვის მძიმე დამაზიანებელი შედეგებით.

2013 წლის 17 აპრილის ბრძანებით, სასამართლომ მოცემული საქმეების გააერთიანების შემდგომ გამოსცა დროებითი ბრძანება, რომელიც უზღუდავდა მხარეებს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც დაამძიმებდა ან გაახანგრძლივებდა დავას.<sup>19</sup> მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქმეების გაერთიანებით სასამართლომ ხელი შეუწყო ეფექტურ და დროულ მართლმსაჯულებას.

გაერთიანებულ საქმეზე საჯარო მოსმენები 2015 წლის აპრილში გაიმართა, ხოლო სასამართლომ არსებითი განჩინება 2015 წლის 16 დეკემბერს გამოიტანა. პირველ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ, inter alia, დაადგინა, რომ კოსტა რიკას სუვერენიტეტი ვრცელდებოდა სადავო ტერიტორიაზე, აქედან გამომდინარე, ნიკარაგუას მიერ სადავო ტერიტორიაზე 2010 წლიდან განხორციელებული ქმედებები, მათ შორის, მოცემულ ტერიტორიაზე სამხედროების ყოფნა, არღვევდა კოსტა რიკას ტერიტორიულ სუვერენიტეტს.

სასამართლომ ნიკარაგუა დაავალდებულა უკანონო ქმედებებით გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში. მხარეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლო ზიანის ანაზღაურების საკითხს შემდგომში გადაწყვეტდა.<sup>20</sup> 2015 წელს სასამართლომ, სადავო ტერიტორიის მიმართ, დავა კოსტა რიკას სუვერენიტეტის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რამაც ნიკარაგუას ქმედებების უკანონობა აჩვენა საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ნიკარაგუას მიერ რეპარაციების გადახდის ვალდებულება წარმოშვა.

2017 წლის 16 იანვრით დათარიღებული წერილით კოსტა რიკამ, საქმეზე „კოსტა რიკას რესპუბლიკა ნიკარაგუას რესპუბლიკის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მითითებით, მოითხოვა სასამართლოს გადაეწყვიტა კოსტა რიკას კომპენსაციის საკითხი ნიკარაგუას უკანონო ქმედებით გამოწვეული მატერიალური ზიანისთვის.<sup>21</sup> წერილობითი საჩივრების ორი რაუნდის დასრულების შემდეგ, სასამართლომ 2018 წლის 2 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანი პირდაპირ კავშირში იყო სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებებთან. დაზიანებული გარემოს აღდგენის ხარჯები ანაზღაურებას ექვემდებარებოდა საერთაშორისო სამართლით.

სასამართლომ დაადგინა პირდაპირი და აშკარა მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და ნიკარაგუას ქმედებებს შორის. გარემოსთვის მიყენებული ზიანის შეფასების შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ კოსტა რიკას კომპენსაცია შეადგენდა 378,890.59 აშშ დოლარს.<sup>22</sup>

<sup>18</sup> Construction of a Road in Costa Rica along the San Juan River (Nicaragua v. Costa Rica), Overview Of The Case, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/en/case/152> (მოძიებულია:16.04.2022.);

<sup>19</sup> Construction of a road in Costa Rica along the San Juan River (Nicaragua v Costa Rica.), Joinder of proceedings of 17 April 2013. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/152/152-20130417-ORD-01-00-EN.pdf> (მოძიებულია:16.04.2022.);

<sup>20</sup> Certain Activities carried out by Nicaragua in the Border Area (Costa Rica v. Nicaragua), Construction of a Road in Costa Rica along the San Juan River (Nicaragua v. Costa Rica), Press Release, 16 December 2015, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/152/18846.pdf> (მოძიებულია:16.04.2022.);

<sup>21</sup> Certain Activities carried out by Nicaragua in the Border Area (Costa Rica v. Nicaragua), Question of compensation, Press Release, 20 July 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/150/150-20170720-PRE-01-00-EN.pdf> (მოძიებულია:16.04.2022.);

<sup>22</sup> Certain Activities Carried Out by Nicaragua in the Border Area (Costa Rica v. Nicaragua), Overview of the Case, ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/en/case/150> (მოძიებულია: 16.04.2022.);

ნიკარაგუას მიერ კოსტა რიკას მიმართ დაკისრებული კომპენსაციის გადახდის გადაწყვეტილება უნიკალურ შესაძლებლობას წარმოადგენს სასამართლოსთვის, სამომავლოდ განავითაროს თავისი შეხედულებები გარემოსდაცვითი ზიანის კომპენსაციაზე.

სასამართლომ შემოიღო „ზოგადი შეფასების“ კონცეფცია კოსტა რიკასთვის კომპენსაციის ოდენობის დასადგენად.<sup>23</sup> სასამართლოს განცხადებით, მოცემული მიდგომის გამოყენება ნაკარნახევი იყო ნიკარაგუას ქმედებით და დაზარალებული ტერიტორიის სპეციფიკური მახასიათებლებით, რომელიც მდებარეობს კარიბის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ, რამსარის კონვენციით დაცულ ჭაობში. მოცემული ჭაობი გამოირჩევა ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით. საერთო შეფასებამ სასამართლოს საშუალება მისცა გაეთვალისწინებინა დაზიანებული ტერიტორიის ბუნებრივი აღდგენის შესაძლებლობებიც,<sup>24</sup>

მნიშვნელოვანი იყო, სასამართლოს დაესაბუთებინა, თუ როგორ დაადგინა კომპენსაციის კონკრეტული ოდენობა კოსტა რიკასთვის „კანონის პრინციპზე“ მითითებით, რომელსაც ეყრდნობოდა საარბიტრაჟო ტრიბუნალი Trail Smelter-ის საქმეში.<sup>25</sup> მატერიალური ზიანის მოცულობის ადეკვატური მტკიცებულებების არარსებობა ყველა სიტუაციაში არ გამორიცხავდა მიყენებული ზიანის აუნაზღაურებლობას.<sup>26</sup> თუმცა, შეიძლება დავინტერესდეთ, აქვს თუ არა სასამართლოს დისკრეცია უაღრესად რთულ და ტექნიკურად შესაფასებელ საკითხებში: გამოიყენოს დამატებითი ექსპერტიზა, თუ დასაშვებია მიყენებული ზიანის ანაზღაურება საერთაშორისო სამართლის პრინციპზე აქცენტრებით. საინტერესოა, ისიცაა, რომ კონკრეტულ საქმეში ჩართულ არცერთ მოსამართლეს არ გამოუთქვამს ვარაუდი, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა დამატებითი „გარე ექსპერტიზის“ საკონსულტაციო შესაძლებლობა ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით ზიანის შესაფასებლად.

გარემოსდაცვითი ზიანის კომპენსაციის საკითხის ირგვლივ არსებობს გამოწვევები, მათ შორის, სასამართლომ თუ როგორ უნდა დაამყაროს სწორი ბალანსი საქმის გადასაწყვეტად მინიჭებულ დისკრეციას შორის (ე.ი. კომპენსაციის სწორი ოდენობის განსაზღვრა): დამოუკიდებლად, საერთაშორისო სამართლის პრინციპზე დაყრდნობით, თუ გარე ექსპერტებთან კონსულტაციის შესაძლებლობის გამოყენებით,

სასამართლომ კომპენსაციის განსაზღვრისას დაიწყო საერთაშორისო სამართლის პრინციპის იდენტიფიცირება: ვალდებულების დარღვევა წარმოშობს ადეკვატური ფორმით ანაზღაურების ვალდებულებას. მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლომ აღიარა ბუნებრივ რესურსებსა და ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი, როგორც გარემოსთვის მიყენებული ანაზღაურებადი ზიანის ნაწილი.

---

<sup>23</sup> The ICJ and the compensation for environmental damage in the Costa Rica/Nicaragua case: Does the application of equitable principles offset independent technical expertise? Elena Fasoli, Mar 31, 2019 ხელმისაწვდომია: <http://www.qil-qdi.org/the-icj-and-the-compensation-for-environmental-damage-in-nicaragua-costa-rica-case-does-the-application-of-equitable-principles-offset-independent-technical-expertise/> (მოძიებულია: 16.04.2022.);

<sup>24</sup> CERTAIN ACTIVITIES CARRIED OUT BY NICARAGUA IN THE BORDER AREA (COSTA RICA v. NICARAGUA) 2 FEBRUARY 2018 JUDGMENT, § 80-81. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/150/150-20180202-JUD-01-00-EN.pdf> (მოძიებულია: 16.04.2022.);

<sup>25</sup> Trail Smelter Case (United States v Canada) Award 16 April 1938, VOLUME III pp. 1905-1982, ხელმისაწვდომია: [https://legal.un.org/riaa/cases/vol\\_III/1905-1982.pdf](https://legal.un.org/riaa/cases/vol_III/1905-1982.pdf) (მოძიებულია: 16.04.2022.);

<sup>26</sup> CERTAIN ACTIVITIES CARRIED OUT BY NICARAGUA IN THE BORDER AREA (COSTA RICA v. NICARAGUA) 2 FEBRUARY 2018 JUDGMENT, §35. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/150/150-20180202-JUD-01-00-EN.pdf> (მოძიებულია: 16.04.2022.);

სასამართლომ განაცხადა, რომ „გარემოსადმი მიყენებული ზიანი, ბუნებრივი რესურსების გაუფასურება კომპენსირებადია საერთაშორისო სამართლის მიხედვით“.<sup>27</sup> სადავო ტერიტორიაზე ნიკარაგუას უკანონო ქმედებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება სრულად აენაზღაურებინა უკანონო ქმედებებით გარემოსათვის მიყენებული ზიანი.

მიყენებული ზიანის დაუზუსტებლობა არ გამორიცხავს გარემოსდაცვითი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.<sup>28</sup> ზიანის ანაზღაურების შეფასება მოითხოვს, რომ სასამართლომ შეძლოს მიზეზობრივი კავშირის დადგენა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის.<sup>29</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი ზიანის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას გააჩნდა განსაკუთრებული მოთხოვნები, რადგან ზიანი შეიძლება იყოს მრავალი თანმხლები მიზეზის შედეგი, მეცნიერული არგუმენტების ნაკლებობამ შეიძლება გაართულოს მიზეზობრივი კავშირის დადგენა.<sup>30</sup> სასამართლომ ეს მიდგომა დაასაბუთა იმით, რომ არ არსებობს გარემოსდაცვითი ზიანის ანაზღაურების შეფასების დადგენილი მეთოდი და სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს თითოეული საქმის სპეციფიკური გარემოება და მახასიათებლები.<sup>31</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლომ გარემოსდაცვითი ზიანის შეფასების მიზნით ერთიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების თავშეკავებით ყველა შემთხვევა ინდივიდუალურ ჭრილში განიხილა.

საქმე მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ პირველად განიხილა გარემოსადმი მიყენებული ზიანის კომპენსაციის საქმე.<sup>32</sup> მეორე, რაც მთავარია, ამკარად დასტურდება გარემოს დაზიანების პირდაპირი კავშირი ეკოსისტემის მოშლასთან ეკონომიკური ზარალით. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ აღიარა ბიოლოგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობა. სასამართლომ გამოიყენა თავისი მეთოდოლოგია, როგორცაა „საერთო შეფასების“ მიდგომა და ეკოსისტემასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ზოგადი კრიტერიუმები, თუმცა, არ განმარტა, თუ როგორ გამოთვალა გაუფასურების ან ზარალის ღირებულება.

რაც შეეხება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე „გზის მშენებლობა კოსტა რიკაში მდინარე სან ხუანის გასწვრივ (ნიკარაგუა კოსტა რიკას წინააღმდეგ)“ წარმოადგენს ტერიტორიულ დავას. 2015 წლის 16 დეკემბერის გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე ატარებს სულ სხვა დატვირთვას, რომელიც თავისი ბუნებით განსხვავდება შეიარაღებული კონფლიქტისაგან და მისი განხილვა ტერიტორიული დავების კონტექსტშია მიზანშეწონილი.

## დასკვნა

სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობისათვის აუცილებელია არსებობდეს აღსრულების ძლიერი მექანიზმები. მნიშვნელოვანია შეიქმნას შესაბამისი სამეთვალყურეო განყოფილება,

<sup>27</sup> CERTAIN ACTIVITIES CARRIED OUT BY NICARAGUA IN THE BORDER AREA (COSTA RICA v. NICARAGUA) 2 FEBRUARY 2018 JUDGMENT, 29-30, § 41. ხელმისაწვდომია: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/150/150-20180202-JUD-01-00-EN.pdf> (მომიებულია: 16.04.2022.);

<sup>28</sup> იქვე, 35, 86.

<sup>29</sup> იქვე, 29-30, 32.

<sup>30</sup> იქვე, 34.

<sup>31</sup> იქვე, 52.

<sup>32</sup> ICJ Renders First Environmental Compensation Decision: A Summary of the Judgment by Nilufer Oral, 09 Apr 2018, ხელმისაწვდომია: <https://www.iucn.org/news/world-commission-environmental-law/201804/icj-renders-first-environmental-compensation-decision-summary-judgment> (მომიებულია: 16.04.2022.);



რომელიც სახელმწიფოების მიერ რეპარაციული გადაწყვეტილებების შესრულებას გააკონტროლებს. გადაწყვეტილება საქმეზე „კოსტა რიკას რესპუბლიკა ნიკარაგუას რესპუბლიკის წინააღმდეგ,“ სასამართლოსთვის წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას, განავითაროს მიდგომები გარემოსთან დაკავშირებული ზიანის ასანაზღაურებლად. ამ მხრივ გამოწვევად რჩება სასამართლოს მიერ სწორი ბალანსის დაცვის შესაძლებლობა მის დისკრეციას შორის, როდესაც საკითხი ეხება ისეთ მოვლენას რომელიც მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპის გამოყენებით ვერ გადაიჭრება. საქმე „კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა უგანდას რესპუბლიკის წინააღმდეგ“ შესაძლებელია გარდამტეხი აღმოჩნდეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობაში ამ ინსტიტუციური პრობლემის გადასაწყვეტად.